სალომე სამსონიძე

არქიტექტურის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის არქიტექტურისა და დიზაინის სკოლა

ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ესპანეთი

ERASMUS+ გაცვლითი პროგრამით სწავლა პირველი კურსიდანვე დავისახე მიზნად. გონებაში მქონდა მონახაზი, როგორ ვსწავლობდი უცხოეთში და ამის მისაღწევად ყველაფერს ვაკეთებდი.

ესპანეთში ცხოვრება ყოველთვის მინდოდა და ეს ოცნება 2025 წლის გაზაფხულის სემესტრში ამიხდა. ვალენსიაში გატარებულმა პერიოდმა ჩემი გარდასახვა გამოიწვია - როგორც აკადემიურ, ისე პიროვნულ ჭრილში.

უცხოელ ლექტორებთან ურთიერთობა საინტერესო გამოწვევა აღმოჩნდა ჩემთვის. საზღვარგარეთ სწავლამ შემიცვალა დამოკიდებულება ჩემს სფეროზე: შევიცანი ახალი მიდგომები, ჩამომიყალიბდა ახალი შეხედულებები. აქამდე მიუჩვეველი არქიტექტურის ყოველდღე თვალიერებამ ბევრი რამ შთამაგონა.

ესპანეთში ცხოვრება პიროვნულ ასპექტშიც დიდი გამოწვევა აღმოჩნდა: სრულიად უცხო ქალაქში მარტო ცხოვრების ტკბილ-მწარე ბედნიერება. ერასმუსი დამეხმარა უკეთ გამეცნო საკუთარი თავი, დღითიდღე აღმომეჩინა, ვინ ვარ და რა შემიძლია. ინტერკულტურული ურთიერთობები კი, ვიტყოდი, ყველაზე საინტერესო ნაწილი აღმოჩნდა, რადგან ვფიქრობ, სწორედ სხვადასხვა შეხედულების ადამიანებთან კონტაქტისას სწავლობ და აღმოაჩენ მრავალ ჭეშმარიტებას.

როდესაც განვლილ სემესტრს ვიხსენებ, ვხვდები, რომ გაცვლითი პროგრამით წასვლა საუკეთესო არჩევანი იყო. მიუხედავად მრავალი სირთულისა, ყოველი წამი ამად ღირდა. ყველა სტუდენტს გირჩევთ - გაბედეთ!